საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

პარასკევი, აგვისტოს 26
1921 წ.
№ 5
ფასი 500 მანეთი

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 10,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე დესპინე კონსტანტინეს ასული, შვილი ლადო, ძმა გრიგოლ სვიმონის ძე ოჯახობით და რძალი ალექსანდრა თომას ასული აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ახლად მიცვალებულ

ანტონ სვიმონის ძე ახუბაძის

ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება: ტფილისში 27 აგვისტოს დილის 12 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და ფოთში სასაფლაოს ეკლესიაში. 1268

სოფ. ქვემო-ნიქოზის წმ. გიორგის ეკლესიაში ამა წლის აგვისტოს 26 ს გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი

ქეთევან ივანეს ასულის სიმონიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი გულდამწვარი მშობელნი დეკანოზი იოანე და ეკატერინე ივანეს ასული კაპანაძენი, ასული მისი რუსიკო სიმონიშვილი, დები: მარიამ ანანიაშვილი, მელანია წინამძღვრიშვილი, ელენე ახულაძე, პეპელა და ძმა დავითი კაპანაძენი სიძეებითურთ. 1267

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

**განსახილველი საკითხები:**

1. დრ. მთავარი კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხსენებელი ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხსენებელი ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხსენებელი ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე 23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ადგილობრივ ორგანიზაციებს შეუძლია აღძრას ყრილობისათვის სხვა და სხვა საკითხი 20 ენკენისთვემდე. საყრილობო საკითხს ამტკიცებს დრ. მთავარი კომიტეტი.

## კეთილშობილური დარიგებანი!!

საბჭოთა სისტემა სრულიად ახალი ფორმაა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. ისტორიას ასეთი ტიპი სახელმწიფო აპარატისა არ ახსოვს, რომ ხანგრძლივი არსებობით თავისი შემოქმედებითი საშუალებები და მეთოდები დაეტოვებინოს მემკვიდრე თაობისათვის. პარიზის კომუნამ, რომელიც პროტოტიპი იყო საბჭოთა სისტემისა, მხოლოდ 72 დღე იარსება და ამ მცირე ხნის განმავლობაში ვერ მოგვცა დამთავრებული სახე მუშურ-გლეხური სახელმწიფოსი. მაგრამ პარიზის კომუნის დიადი ისტორიული ღირებულება და მისი მნიშვნელობა სოციალისტური კულტურის განმტკიცებაში განუზომელია. მან ნათლად დაანახა ახალ ცხოვრებისათვის მებრძოლთ, რომ პროლეტარიატს არ ძალუძს მზამზარეულად მიიღოს ძველი სახელმწიფოებრივი აპარატი და ამ რიგად მიმართოს იგი სოციალისტური მშენებლობისათვის. პარიზის კომუნამ დაამსხვრია ძველი სახელმწიფოებრივი აპარატი და მის ნანგრევებზე შეუდგა აღმართვა ახალი პროლეტარული სახელმწიფო.

რუსეთის რევოლიუციამ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ თავის პოლიტიკის საგნად გაიხადა საბჭოთა სისტემის გამტკიცება, ძველი სახელმწიფოს ორგანიზაცია ძირი ნ-ფესვიანად გადაატრიალა, გაანადგურა და ახალი სამფლობელოთა მეთოდებით შეუდგა მშრომელთა დიქტატურის განმტკიცებას. ირღვევა ძველი სოციალ-პოლიტიკური წყობილებისა და მშენებლობა ახალის ყოველი დროის გარდამავალი პერიოდის დამახასიათებელი მომენტები არის. თანამედროვე პერიოდში კი ეს მომენტები შემდეგ შინაარს და ხასიათს ღებულობს: კონკრეტიულად ირღვევა კაპიტალისტური მეურნეობის სტრუქტურა და ნიადაგი ეყრება სოციალისტურს მეურნეობას. საბჭოთა სისტემაც, რომლის შინაარს შეადგენს მშრომელი კლასების დიქტატურა, ამ გარდამავალი პერიოდის სოციალ-პოლიტიკური ფორმაა. მშრომელი კლასები საბჭოთა სისტემის გზით ახორციელებენ თავის დიქტატურას. ცხოვრების ეკონომიური გარდაქმნა, ახალი სოციალური ძალებისა და სოციალური ურთიერთობის შექმნა, აი რა ახასიათებს ეკონომიურის მხრით საბჭოთა სისტემას.

საბჭოთა სისტემა რთული სახელმწიფოებრივი აპარატია ახალი სახისა და ტიპის საზოგადოებრივი წყობილებაა.

სირთულე საბჭოთა სისტემისა იწვევს სიძნელესა და სირთულეს მისი გატარების დროს. ყოველი ახალი სისტემა მისი განხორციელებისა და ხორცსხმულ რეალურ სინამდვილედ გადაქცევის დროს იწვევს მრავალ შეცდომებსა და მიუღებელ ნაბიჯებს. მაგრამ მშენებლობის პროცესში ეს შეცდომები აუცილებელი ხდება. ეს კანონია ცხოვრების, რომლის მრავალ-ფეროვანი მოვლენები შეუძლებელი ხდება ყოველ მხრივ განჭვრეტილ იქმნეს პოლიტიკური ხელმძღვანელის მხრივ და შესაფერისად შეფარდებული ნაბიჯები იქნეს გადადგმული. რევოლიუციონური ეპოქები, ახალი ცხოვრების მშენებლობა და მოვლენათა გაძლიერებულის ტემპით ცვალებადობა ასეთს შეცდომებს აუცილებელს ხდის. ამიტომ არის, სხვათა შორის გარდამავალს პერიოდებში, დიდ რევოლიუციონურს ქარტეხილების ხანაში დეკრეტების კანონმდებლობა უფრო მიზან-შეწონილია: ის, რაც მიუღებელი ხდება ცხოვრების მიმდინარეობისა და წინმსვლელობისათვის, მეორე დღესვე შეიძლება შეიცვალოს საწინააღმდეგო დეკრეტით და ამ გვარად მრავალფეროვან ცხოვრების რთულ პროცესში შერჩეულ იქმნეს ბოლოს და ბოლოს ყველაზე უფრო შეწონილი გზა სოციალური მშენებლობისათვის.

ჩვენთვის ნათელი და გარკვეულია, რომ ახალი სახელმწიფო აპარატის განმტკიცება, რომელ ნიადაგზედაც და რომელ ქვეყანაშიაც არ უნდა მომხდარიყო, გამოიწვევდა დიდ შეცდომებსა და არევდარევას ცხოვრებაში. მაგრამ რუსეთში საბჭოთა სისტემის, პროლეტარიატის პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის განმტკიცებამ შეცდომების მაქსიმუმი მოგვცა. ამას თავისი გასამართლებელი მიზეზები აქვს. ეს შეცდომები აუცილებელი იყო, ერთის მხრით ამ სისტემის სირთულით, მეორეს მხრით — ამ გარემოებას ხელი შეუწყო იმ გარდაუვალ მდგომარეობამ, რომელშიც რუსეთი ჩავარდა შინაური და საგარეო კონტრ-რევოლიუციის წყალობით. საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციამ, ოქტომბრის გადატრიალებიდანვე მოინდომა ბოლშევიკური რევოლიუციის საშოშივე ჩაეკლა. იმ დიდმა სამოქალაქო ომებმა, რომელნიც ზღუდეთ შემოერტყა საბჭოთა რუსეთს, რევოლიუციის ხელმძღვანელებს წაართვა საშუალება მთელი თავიანთი გულისყური და ენერგია „შინაურ სოციალ-პოლიტიკურ მშენებლობისაკენ მიემართათ. „ყოველივე ომისათვის“ — შეიქმნა სადღეისო ლოზუნგათ და პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება და კონტრ-რევოლიუციის განადგურება შეიქმნა მთავარ დიდ კითხვად. ომის პერიოდმა შთანთქა ყოველივე და თავისი დაღი დაასვა ცხოვრების მიმდინარეობას. ცხადია, ამ რთულს და მძიმე მომენტში მეტად დიდ შეცდომებთან გვექნებოდა საქმე. და ამას არც მალავდნენ რუსეთის კომუნისტები—სამოქალაქო ომმა გააძნელა საბჭოთა მშენებლობა, ისეთი მომენტები და მოვლენები დაემატა შიგ, რომელნიც ხელს უშლიდნენ სად სახელმწიფოებრივ შემოქმედებას. სახელმწიფო აპარატი დამძიმდა თავისი სირთულითა და პარალელურად ერთ და იმავე ფუნქციებით აღჭურვილ ორგანიზაციების აღმოცენებით. განსაკუთრებით ასეთს მოვლენებს ადგილი ჰქონდა ეკონომიურ ორგანიზაციებში. ვოლოკიტა და ბიუროკრატიზმი მძიმე ტვირთად დააწვა სახელმწიფოებრივ აპარატს. ამ შეცდომების გასწორება შეუძლებელი იყო სამოქალაქო ომის პერიოდში; მაგრამ, როდესაც რუსეთის ტერიტორია განიწმინდა კონტრ-რევოლიუციონური ბანდებისაგან, საბჭოთა ხელისუფლების მთელი ენერგია შინაურ აღმშენებლობისაკენ იქმნა მიმართული და სახელმწიფო აპარატის ზედმეტ ბარგისაგან განტვირთვას შეუდგნენ. ეს პროცესი თავისი ტემპით მიმდინარეობს დღეს რუსეთში და სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღება თავის რეალურ შედეგებს გვაძლევს.

რუსეთში საბჭოთა მშენებლობის ისტორია მთელი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით უდიდესს გაკვეთილებს აძლევს საერთაშორისო პროლეტარიატს და იმ ერებს, რომელნიც საბჭოთა აღმშენებლობის გზით მიექანებიან უდიდეს რევოლიუციონურ მონაპოვარის რეალურად განაღდებისაკენ. საბჭოთა რუსეთმა კონკრეტიულად აჩვენა გზები და საშუალებები ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნის შესახებ. ის დიდი ექსპერიმენტები და დიდი მაგალითები უკაფავს გზებს ახალ ცხოვრებისაკენ მავალთ. რუსეთის მაგალითები უდიდესი გაკვეთილებია მათთვის, ვისაც სურს ღირსშესანიშნავად დაიჭიროს გამოცდები საბჭოთა სისტემის განმტკიცებაში.

საქართველოში საბჭოთა სისტემის განმტკიცებას რუსეთის გამოცდილება დიდათ იკაფავდა სავალ გზებს. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელები ვერ ასცდნენ იმ შეცდომებს და შაბლონებს, რომელნიც რუსეთის ნიადაგზე შეიქმნა მისი განვითარების პირველ პერიოდში. ჩვენ მრავალ საყურადღებო შეცდომებთან გვქონდა საქმე ჩვენში საბჭოთა აღმშენებლობის პროცესში მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის რევოლიუციის პიონერები და სულის ჩამდგმელნი მარტოდ საყურადღებო დარიგებებს აძლევდნენ სახელმძღვანელოდ ჩვენს ხელისუფლებებს, არ გაემეორებინათ რუსეთის შაბლონი საქართველოს ნიადაგზედ. რუსეთის რევოლიუციის ტვინი და სულის ჩამდგმელი ამხ. ნ. ლენინი თავიდანვე აფრთხილებდა ქართველ კომუნისტებს რუსული შაბლონის გამეორებაში და ურჩევდა ამიერ-კავკასიის ფარგლებში უფრო მოქნილი და ელასტიური პოლიტიკა ეწარმოებინათ. ჩვენ აქ არ შევეხებით სხვა მრავალ კითხვებს, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის პოლიტიკური ცხოვრების ვითარებაში და რომლის გამომუშავების დროს დიდი შეცდომები იყო დაშვებული, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატის განმტკიცებისა და საბჭოთა აღმშენებლობის დროს-ვერ იქმნა აცდენილი. თავიდან რუსული სენი და დღესაც ჩვენი აპარატი დატვირთულია ზედმეტი ბარგებით. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია საბჭოთა რუსეთის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ხელმძღვანელმა რიკოვმა და თავის ქართველ ამხანაგებს მიუთითა სახელმწიფო აპარატის განტვირთვის შესახებ. რას ნიშნავს ყოველივე ეს? არის თუ არა დამახასიათებელი რიკოვის დარიგება და ვფიქრობ, რომ საბჭოთა სოციალ-პოლიტიკური მშენებლობას საქართველოში მრავალ გვარი დამაბრკოლებელი მიზეზი ელოდება წინ. ეს მიზეზები მრავალ გვარია და მრავალ სახიან ისტორიულ ცხოვრების ვითარებით არიან შექმნილნი. ამ გარემოებას ჩვენც ვაქცევთ ყურადღებას და მისი აღმოფხვრა შესაძლებელი ხდება მხოლოდ თანდათანობით შემოქმედებითი მუშაობით. მაგრამ არის ისეთი მიზეზები, რომელთა ძლევა შესაძლებელია დღესვე, თანამედროვე პირობებში. ამ გარემოებაზე მიუთითებს ამხ. რიკოვიც. სახელმწიფო აპარატის განტვირთვიდან გამარტივება არ ნიშნავს მის მოდუნებას. წინააღმდეგ, ამით ჩვენ ვქმნით მას უფრო ელასტიურსა და მომქმედს განწმენდას ბიუროკრატიულ სენისგან.

საბჭოთა აპარატი უნდა ხასიათდებოდეს თავისი მოქნილობით. დღევანდელი მისი მდგომარეობა დამძიმებულია ბიუროკრატიული სენით.

დრო არის ჩვენი სახელმწიფო განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან და ხალხსა და მმართველობის შორის არ არსებობდეს ხელოვნურად შექმნილი ბიუროკრატიზმი. ამაზე უთითებს ამხ. რიკოვის კეთილშობილური დარიგებანი და ეს სავსებით შესაძლებელი არის საქართველოს ნიადაგზედ.

**სიმ. ხუნდაძე.**

## ახალი ამბები

— ქ. გამსახურდია საქართველოს პროვინციალურ ქალაქებში წაიკითხავს მოხსენებებს: „ნაციონალური სახელმწიფო და ნაციონალური ლიტერატურა. ამ მოკლე ხანში მოხსენებები წაკითხულ იქნება: აბშაში, ახალ-სენაკში და ზუგდიდში.

— **გემი ბათომის ნავთსადგურში.** ბათომის ნავთსადგურში მოვიდა გემი „პესტელი“, რომელმაც მოიყვანა 6.000 მგზავრი და მოიტანა 300 ფუთი თუთუნი.

— **წვიმა ქუთაისის გუბერნიაში.** უკანასკნელ დღეებში დიდი წვიმები მოვიდა ქუთაისის გუბერნიაში. მოსავლის პირი გაუმჯობესდა. ნოყიერ ადგილებში საშუალო მოსავალს მოელიან.

— **ხოლერის შემცირება.** უკანასკნელ ხანებში ქ. ქუთაისსა და მის რაიონში ხოლერით ავად არავინ გამხდარა.

— **სამეურნეო ჟურნალი.** მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის გამომცემლობის განყოფილებამ გამოსცა სამეურნეო ჟურნალი „სოფლის მეურნე“ რომელშიაც მოთავსებულია წერილები სოფლის მეურნეობის შესახებ.

— **ლტოლვილებისა და გადასახლებულების გაგზავნა.** 1 აგვისტოდან 12 აგვისტომდე ტფილისის სადგურიდან ერევნის, ყარსის ბათომსა და ბაქოს მიმართულებით გაიგზავნა 255 ვაგონი ლტოლვილები და გადასახლებულები. ამას გარდა ტფილისის განტვირთვის ცენტრალური კომისია შეეკითხა რკინის გზის სამმართველოს, თუ რამდენი ვაგონის მიწოდება შეუძლია მას ტფილისიდან გადასახლებულთა გასაგზავნათ.

— **მოსავლის პირი.** ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გამოკლებით პურის მოსავალი ყველა მაზრებში საშუალოზე ნაკლებია, ხოლო ზემოდ დასახელებულ მაზრებში კი მეტია. სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანს, რადგან უკანასკნელ დღეებში დიდი წვიმები მოვიდა.

## ყველა პარტიულ ორგანიზაციებს

თანახმად დრ. მთავარ კომიტეტის დადგენილებისა სულ მოკლე ხანში მოწვეულ უნდა იქნეს პარტიული ყრილობა. ამიტომ ცხადდება პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ დელეგატების გამოგზავნის უფლება აქვს მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც მოახდინეს ხელახალი რეგისტრაცია და ა. წ. ენკენისთვის 15-მდე საგანგებო საორგანიზაციო სამეულს მოაწვდიან წერილობით შემდეგ ცნობებს: 1) როდის დასრულდა ხელ-ახალი რეგისტრაცია; 2) ძველი საორგანიზაციო თუ ახალი; 3) რამდენი წევრი ჰყავს; 4) კომიტეტის შემადგენლობა.

**საგანგებო საორგანიზაციო სამეული. მისამართი რედაქციის.**

# სიმართლის აღდგენისათვის*)

ჩემმა ამხანაგმა გ. რობაქიძემ, სომეხთა კალმის მუშაკთა კავშირის გამგეობის თხოვნით, „აიარტუნში“ წაიკითხა ლექცია ქართულ ლიტერატურისათვის.

ამ ლექციამ მისცა საბაბი ზოგიერთ გაუგებრობას როგორც ქართულს პრესაში ისე საზოგადოებაში.

„სოციალისტ ფედერალისტში“ დაიბეჭდა წერილი, სადაც რობაქიძეს აწერენ შემდეგ სიტყვებს:

„მხოლოდ დღეს გაჩნდა ქართული პოეზია „ცისფერი ყანწების“ ჯგუფის სახით. ამ ჯგუფმა უკვე დაამარცხა რუსთაველი“. ან და მეორე ადგილს: „აღმოსავლეთი საქართველო გადაშენებულია, რის საუკეთესო ილიუსტრაცია არის ტფილისი თავის „მოქალაქით“, ეს ეთნიური სუმბური, სადაც ყველაფერია, საქართველოს გარდა, ტფილისი არ არის ქართული ქალაქი. მონღოლების შემდეგ აღმოსავლეთი საქართველო ჰკვდება და მოჰკვდა კიდეც“.

და აი, სიმართლის აღდგენისათვის მე ვსწერ ამ წერილს, როგორც იმათთვის, ვინც არ დასწრებია რობაქიძის ლექციას, ისე იმათთვის, ვინც შევიდა შეცდომაში.

მე ვემყარები მას, რაც აქ ცოცხალია ჩემსა და სხვა ლიტერატორების ხსოვნაში, რობაქიძის ლექცია რომ მოისმინეს, საბედნიეროდ მე ხელთა მაქვს კიდევ უფრო საიმედო დოკუმენტი ვიდრე ხსოვნა. ეს არის სახსოვარი წიგნაკი ჩვენი ამხანაგის პოეტის დემირჩიანის, რომელმაც მასში ჩასწერა საინტერესო ადგილები ლექციისა. სხვათა შორის ჩაწერილია ის ადგილებიც, რასაც კამათი გამოუწვევია.

რობაქიძემ მოგვცა მოკლე მიმოხილვა ქართული ლიტერატურის დღიდან მისი წარმოშობისა დღევანდლამდე. იგი შესდგა თვითეულ მის პერიოდზე და განსაკუთრებით წინ წამოაყენა რუსთაველის გენია შუა საუკუნეების პერიოდში. შეეხო რა შემდეგ ზოგიერთ გამოჩენილ მწერალს ახალს ლიტერატურაში და გაზაზა რა მისი განვითარება, სთქვა: „რუსთაველის შემდეგ ქართული ლიტერატურული სიტყვა ოსტატობისა და ფორმის სისრულის მხრით არ ასულა იმ სიმაღლემდე, სადამდისაც ავიდა ახალს ლიტერატურაში, ამ აზრით რუსთაველს მოქიშპენიც ჰყვანან კიდეც“. ზოგიერთნი, გარნა, ამტკიცებენ, თითქო რობაქიძემ სთქვა, რომ „Руставели уже превзойден“.

„ცისფერი ყანწების“ ჯგუფისთვის რობაქიძე ლაპარაკობდა ამ საკითხის დამოუკიდებლად და სრულიად განცალკევებით, და როცა ლაპარაკობდა ამ ჯგუფისთვის, სახელი რუსთაველის არ უხსენებია. მაგრამ, რადგანაც ამ ახალ ჯგუფის და მის ახალი მიმართულებისათვის იგი ლაპარაკობდა განსაკუთრებული გატაცებით, ამისათვის შესაძლოა ბევრს მიეღო ისეთი შთაბეჭდილება, რომ მას სწორედ ეს ჯგუფი ჰქონდა სახეში, როცა ეხებოდა რუსთაველის მოქიშპეთ ოსტატობისა და ფორმის სისრულის მხრით, ამრიგად, სიტყვაც არ იყო, რომ რუსთაველი დამარცხებულია.

და ტყუილად ფიქრობენ ჩვენი ამხანაგი ქართველები, რომ ასეთი შეხედულება ყოფილიყო გამოთქმული, იგი დარჩებოდა საფუძვლიან შენიშვნის გარეშე სომეხთა ლიტერატორების მხრით. მართალია, ჩვენ ასე კარგათ არ ვიცით ქართული ლიტერატურა, როგორც საჭირო უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც ისე უცოდინარნი ვართ, რომ, თუ ჩვენს გვერდით არიან მწერლები, რომლებმაც გაუსწრეს (превзойден) რუსთაველს, ეს არ ვიცოდეთ.

რაც შეეხება მას, რომ ოსტატობისა და ფორმის სისრულის მხრით რუსთაველს ჰყვანან მოქიშპენი, უნდა ვსთქვა, რომ მე პირადად ეს მოვისმინე სრული დამშვიდებით. თითქმის ისეთი დამშვიდებით, როგორი დამშვიდებითაც მოვისმენდი თქმას, რომ ტანთსაცმელი თანამედროვე პოეტების გაცილებით უკეთესია, ვიდრე ტანსაცმელი რუსთაველისა.

ოსტატობა და ფორმის სისრულე— ეს ხელობაა, ტეხნიკა, გარეგანი, ვთქვათ ძველი სიტყვით—ადამიანური. მნიშვნელოვანია არა ეს, არამედ შინაგანი შემოქმედებითი ძალა, ცოცხალი და ძლიერი სუნთქვა, ვთქვათ ძველი სიტყვით ღვთიური. თუ ეს ღვთიური შინაარსი არის, მაშინ უთუოდ არის მისი ფორმაც. იგი მონახავს და ყოველთვის ნახულობს თავის ფორმას. მაგრამ, თუ არის მხოლოდ ფორმა, კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იგი მონახავს თავის შინაარსს. ფორმას შეუძლია დარჩეს ცარიელ ფორმად. სწორედ ისე: თქვენ გითხრეს, რომ აქ არის მარტო სული თქვენ თანვე განუწყვეტლად იგულვებდით სხეულსაც. მაგრამ, თუ თქვენ გითხრეს, რომ აქ არის მარტო სხეული, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მასში არის სული. სხეულს შეუძლია იყოს უსულო, მკვდარი, ესე იგი ცარიელი ფორმა. ან და კიდევ უფრო უბრალო მაგალითი: როცა ლაპარაკობენ ღვინოზე, ჰგულისხმობენ ჭურჭელსაც. როცა კი ლაპარაკობენ, რომ აქ არის ჭურჭელი, მაშინ სრულიად არ გულისხმობენ თანვე, რომ მასში არის ღვინო. ამრიგად ლაპარაკიც არ ყოფილა იმაზე, რომ რუსთაველი დამარცხებულია.

რაც შეეხება მეორე საკითხს—აღმოსავლეთ საქართველოსა და ტფილისის შესახებ—აქაც წარმოიშვა გაუგებრობა. რობაქიძემ სთქვა: „ისტორიულ უბედურებათა გამო აღმოსავლეთ საქართველომ უფრო მეტი ტანჯვა განიცადა, ვიდრე დასავლეთ საქართველომ. ამის გამო ეროვნული ტიპი დასავლეთ საქართველოში შენახულია უფრო მეტის სიწმინდით, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოს მოაკლდა სიწმინდე ნამდვილი ქართულის, ესე იგი, მესხიურის ანუ რუსთაველის, სტილისა“.

და მართლაც თუ ეს აღნიშვნა მართებულია შესახებ საქართველოს ერთი ნაწილისა, იგი მართებულია შესახებ მთელი სომხეთის. მე თვითონ მქონდა შემთხვევა ამას წინად ახლო წარსულში გამომეთქვა ასეთი აზრი.

ტფილისის შესახებ რობაქიძემ სთქვა: „ისტორიის პარადოქსების წყალობით, ტფილისში წარმოიშვა ტიპი „მოქალაქისა“, რომელშიაც არის ქართულიც, სომხურიც, სპარსულიც, აზერბაიჯანულიც,—ერთგვარი ეთნიური სუმბური— ამ ტიპმა, შექმნა რა თავისი ლიტერატურა და ხელოვნება, გავლენა იქონია აღმოსავლეთ საქართველოს ლიტერატურაზე“.

და სიტყვაც არ ყოფილა იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთი საქართველო მოკვდა, ან და, რომ ტფილისი ქართული ქალაქი არ არის.

ყველა ზემო თქმული შეიძლება დამოწმებულ იქმნას მთელი ინტელიგენტური აუდიტორიის მიერ, სადაც იყვნენ ზოგიერთი ქართველი და რუსი მწერლები. ჩემი წინადადებით და თხოვნით, ბაასის დროს, ამ საღამოზე თავმჯდომარეობდა კარგად ცნობილი როგორც ქართველთა საზოგადოებისთვის ისე სომხებისათვის ნ. დ. სოკოლოვი.

დაბოლოს მე უნდა დავამოწმო, რომ იმ საღამოზე მყოფი სომეხთა საზოგადოება წავიდა მეტად ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ. რობაქიძემ თავის ორატორული ნიჭისა და ლიტერატურული ცოდნის წყალობით მოგვცა ისეთი მდიდარი მასალა, რომ გამოიწვია მთელს აუდიტორიაში შემპყრობი ინტერესი და გრძნობა გულწრფელი პატივისცემისა ქართული ლიტერატურისადმი და სომხების სალიტერატურო წრეებში მოუთმენლად მოელიან შემდეგ ლექციებს.

ჩემთვის სრულიად გასაგებია, რომ რობაქიძის ლექციაში იყო ბევრი საკამათო საკითხი ქართველებისათვის, განსაკუთრებით ახალ ლიტერატურაში, მაგალითად, რობაქიძის აზრით ვაჟა-ფშაველა უფრო დიდი ტალანტია და თავისებური, ვიდრე აკაკი წერეთელი. ამას რამდენადაც მე ვიცი, ბევრი ქართველი არ დაეთანხმება, ასეთნაირადვე შესახებ „ცისფერი ყანწების“ ჯგუფისა და რობაქიძის ლექციის სხვა ადგილებისა ბევრი სხვა აზრისა არის, და კიდეც ამხ. კოტეტიშვილმა,—რომელიც ლექციაზე იყო და რომელსაც ჩვენ ვთხოვეთ შემდეგი ლექციის წაკითხვა ქართულ ლიტერატურაზე,—იქვე განაცხადა, რომ ზოგიერთ საკითხების შესახებ იგი წინააღმდეგია რობაქიძისა.

თავმჯდომარე აიარტუნისა და სომეხ კალმის მომუშავეთა კავშირის

ოვანეს თუმანიან.

*) ოვანეს თუმანიანის წერილის გამო ვან-დეიკის შენიშვნა დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

რედ.

# რუსეთი

მოსკოვი. აგვისტოს 20. პეტროგრადში პოვოლოჟიედან ელიან გამოსახლებულებს რიცხვით 20.000 პირველი პარტია რიცხვით 500 კაცისა უკვე გზაშია.

პეტროგრადი, აგვ. 19. 10—17 აგვისტომდე პეტროგრადის ნავთსადგურში შემოვიდა გერმანეთის 2 და 1 ინგლისის გემი, რომლებმაც მოიტანეს სასოფლო სამეურნეო პროდუქტები.

მოსკოვი აგვ. 20. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მეცნიერულ-ტეხნიკურმა განყოფილებამ საზღვარგარეთ შეიძინა სხვა და სხვა ტეხნიკური იარაღი 5 მილ. მარკის ღირებული.

მოსკოვი. აგვ. 24. უკრაინის გლეხობა სასურსათო გადასახადს თანაგრძნობით ეგებება. ხარკოვის გუბერნიაში გადასახადის აკრება წარმატებით დასრულდა სამის მაზრის არა დამაკმაყოფილებელი მუშაობა, გამოწვეული იყო ხელმძღვანელთა ცუდი მოქმედებით, რომელნიც გადაეცნენ რევტრიბუნალს.

მოსკოვი აგვ. 24. მინსკის რევტრიბუნალმა გაარჩია საქმე სავინკოვის 44 აგენტისა, რომლებთაც ბრალდებოდათ მხეცურად ცემა მშვიდობიან მცხოვრებთა. ამ ჯგუფს ყავდა თავის აგენტები საბჭოთა ამდენიმე დაწესებულებაშიც. მეთაურს გადაუწყვიტეს დახვრეტა.

მოსკოვი. აგვ. 24. აპრილში, მაისში ივლისში, ეკატერინოპურგის გუბერნიაში გაჩნდა 100 მეტი ცეცხლი ტყეებში, რომელმაც გადასწვა 70 დესიატინაზე მეტი ტყე.

მოსკოვი. აგვ. 13. გაზეთების „კრამიტეს“ გამოანგარიშებით, საფრანგეთი პოლონეთის ჯარის შეიარაღებისათვის ყოველ-დღიურად ხარჯავს 1 მილიონ ფრანკს, ხოლო რუმინეთის ჯარის შეიარაღებისათვის 1 ნახ. მილიონ ფრანკს. გაზეთი ამბობს, რომ რუსეთის წინააღმდეგ მზადება საფრანგეთს უჯდება თვიურად 45 მილ. ფრანკი.

# უცხოეთი

**კრიტიკული მომენტი საფრანგეთის სინდიკალიზმის ისტორიაში.**

საფრანგეთის პროფკავშირთა ყრილობაზე ლილში მემარჯვენეებმა მიიღეს ხმების უმეტესობა. მემარჯვენეებს ხელმძღვანელობდა ჟუო. თითო სინდიკატს ჰქონდა თითო ხმა. წვრილი სინდიკატები მემარჯვენეების ხელშია და მიუხედავად იმისა, რომ წევრთა უმრავლესობით დიდ სინდიკატებში მემარცხენე ფრთა ძლიერია, ყრილობაზე კი ისინი უმცირესობაში დარჩნენ. მემარცხენეთა ძალის დაქსაქსვას ხელი შეუწყო მონმუსოსა და მონატის უთანხმოებამ მოსკოვის წითელი პროფკავშირთა ყრილობის რეზოლიუციის გამო. მოსული ცნობებით სჩანს, რომ ყრილობაზე მოხდა განხეთქილება. უნდა ვიფიქროთ, რომ მემარცხენეებმა დასტოვეს ყრილობა და ცხადია ისინი შეუდგებიან საკუთარი ორგანიზაციის შექმნას. განხეთქილება მომხდარიც რომ არ იყოს, ის მაინც გაუცილებელია. მემარცხენეებს არ სურდათ გათიშვა, რადგან ბუნებრივად ზრდა აძლევდათ საშუალებას მთელი ორგანიზაციის უმრავლესობის ხელში ჩაგდებისას, მაგრამ მემარჯვენეებმა ამ დროს აღარ დაუცადეს.

მემარცხენენი ანარქისტულ ნიადაგზე დგანან და პოლიტიკურ პარტიებს არ ემხრობიან. მაგრამ ბუნებრივია, რომ ისინი რევოლიუციონურ ფრონტის მთლიანობის ნიადაგზე დადგებიან.

ამსტერდამის პროფესიონალ ინტერნაციონალთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ, თუ ისინი მოსკოვის ინტერნაციონალს არ მიემხრნენ დარჩებიან საერთაშორისო ინტერნაციონალურ ორგანიზაციის გარეშე.

როგორი გზით წავა საფრანგეთის რევოლიუციონური სინდიკალიზმის განვითარება, ამის თქმა მეტად ძნელია, ხოლო უნდა ვიფიქროთ, რომ მემარცხენე სინდიკალისტებს ერთი გზა აქვთ, ეს გზა არის რევოლიუციონური ფრონტის ნიადაგზე დადგომა (სტეკლოვის წერილიდან).

**საფრანგეთი.**

ლილის პროფკავშირთა კონგრესზე საფრანგეთის პროფკავშირებში მოხდა განხეთქილება. ამსტერდამის ინტერნაციონალის მომხრეებმა მიიღეს 1,522 ხმა, მოსკოვისამ 325.

**ხარკოვი.**

აგვისტოს 20 რუმინიის მინისტრთა საბჭოში პრემიერმა ტაკე იონესკუმ განაცხადა, რომ მცირე ანტანტა რუმინეთის მონაწილეობით ემზადება კომუნიზმთან ბრძოლისათვის. ამ საკითხის გამო აგვისტოს ბოლო რიცხვებში მოხდება კონფერენცია რუმინიის, ჩეხო-სლოვაკიის, სამხრეთ-სლავიის და იტალიის წარმომადგენლების.

— აგვისტოს 20 რუმინეთის ბურჟუაზიული გაზეთების აზრით, რუმინიაში იწყება კრიტიკული შეფასება ტაკე იონესკუს პოლიტიკისა შესახებ პოლონეთის სამხედრო კავშირისა რუმინეთის ახალი ავანტიურაში ჩარევისათვის. ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგია არა მარტო სოციალისტური წრეები, არამედ ლიბერალურიც, რომელნიც აღნიშნავენ, რომ პოლონეთთან კავშირი რუმინეთისათვის საშიშოა.

**ნაუენი.**

ნორვეგიის მთავრობამ მოხსნა ყოველივე შეზღუდვა საქონლის შემოტანისათვის. ნორვეგია პირველი ქვეყანაა, რომელმაც გზა გაუხსნა თავისუფალ ვაჭრობას მსოფლიო ომის შემდეგ.

— იტალიის მთავრობას განზრახული აქვს ერთა ლიგაში შეიტანოს წინადადება ლიგის ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ. თუ წინადადება არ იქნა მიღებული, იტალიის დელეგატებს გადაწყვეტილი აქვთ დასტოვონ სხდომა, როგორც დასტოვეს არგენტინის დელეგატებმა.

— დროებითმა შერიგებამ ფაშისტებსა და მუშებს შორის იტალიაში არავითარი შედეგი არ მოიტანა. სამოქალაქო ომი არ შეწყვეტილა.

**შეერთებული შტატები და სომხეთი.**

სტამბოლში გამოდის სომხური გაზეთი „ერკირი“, რომელშიც დაბეჭდილია, რომ ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანმა, სტენი უაიტმა, გადასცა ერთ-ერთ ამერიკის გაზეთის კორესპონდენტს, რომ თუ შეერთებულმა შტატებმა არ ასრულა სიტყვა დაპირებული სომხეთისადმი, ის ვერ აიშორებს პასუხისმგებლობას ოსმალეთის მხეცობაში, რომელიც საფრთხეს უმზადებს მრავალტანჯულ სომხეთის ხალხს. ჩვენო—ამბობს სტენი უაიტი, არ უნდა შევჩერდეთ იმის წინაშეც კი, რომ ევროპის საქმეებში ჩარევაც მოგვიხდეს... ჩემმა 8 თვის მოგზაურობამ, ახლო აღმოსავლეთში დამარწმუნა, რომ ახლოაღმოსავლეთის ხალხი მოელის ამერიკის გამოსვლას აღმოსავლეთის საქმეებში.

# მოწერილი ამბები

დუშეთის მაზრა. რანაირი სახელმწიფოებრივი [illegible] დამყარდეს სახელმწიფოს სხვა მრავალ ფუნქციათა შორის [illegible] მნიშვნელოვანი და ყურადღების მომქცევი სასამართლო და ადმინისტრაცია იქნება, მით უმეტეს ისეთ ქვეყნებში, სადაც კულტურას ნაკლებათ აქვს ფესვები გადგმული და სადაც ჯერ კიდევ ველური გრძნობიერება სჯობნის სალ გონიერებას. საქართველოს არც ერთ კუთხეში ისეთ გულშემზარავ ბოროტ ამბებს არ ჰქონია ადგილი, როგორიც აქვს დუშეთის მაზრაში. ჯერ კიდევ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქ. დუშეთში უანგარო მუშაკს და საზოგადო მოღვაწეს ამხ. ტ. ფირცხიშვილს მოუსპეს სიცოცხლე სრულიად მოულოდნელად და დაუმსახურებლად. მას მიაყოლეს გვარდიის ოფიცერი ტატიშვილი და სხვა. დღეს ამ მსხვერპლთა სისხლით გასვრილი ველურ[illegible]თა ჯგუფი თორმეტი კაცისაგან გამოძიების ქვეშ იმყოფება ტფილისში და საზოგადოება მოუთმენლად მოელის რევ-ტრიბუნალის მათზე შესაფერის განაჩენს. დუშეთის მაზრის სხვა სოფელთა შორის სოფ. წეროვანში (იგივე გორიოვანი) დღე და ღამ გამუდმებული სროლაა მილიციონერებისგან. ამ სოფლის კომისარს შემხვევით ფეხში აქვს მოხვედრილი ტყვია და ჯოხზე დაყრდნობილი ძლივს დაიარება.—ერთს ახალგაზრდა ყმაწვილ კაცს ყბების ძვლები ტყვიით აქვს ჩამტვრეული და სამკურნალოთ მცხეთას დაიარება. როცა ვკითხე, რატომ არ სჩივით, მიპასუხეს: გვეშინიანო.

სოფ. საგურამოც არ ჩამორჩენია სოფ. წეროვანს. ამას წინათ სოფ. საგურამოს კომისარი როგორც თვით განუცხადებია თავისი მილიციონერებით არაგვს გაღმა მდებარე სოფ. ნაჭახტარში გადასულა. შუაღამისას მისდგომია ერთს ოჯახს—შემადგენლობით ქრივ დედაკაცს წვრილი ობლებით. კომისარს დედა კაცისგან მოუთხოვია მისი უფროსი ვაჟი შვილი; დედაკაცს უთქვამს, რომ დიდი ხანია რაც ის სახლში აღარ არის და არც ვიცი სად არის ამ ქამათო... შემდეგ კომისარს უბრძანებია დედა და მისი უფროსი ქალი გაჰყოლიყვნენ მას „შუაღამისას“ სოფ. საგურამოში მათგან ჩვენების ჩამოსართმევათ... დედაკაცს შეშინებია და ტირილი დაუწყვია— ატირებულან წვრილი ობლებიც, მაგრამ გულქვა კომისარს მაინც არ შებრალებია და არაგვის პირთან ჩაუყვანია— დედაკაცი და მისი უფროსი ქალი პირით არაგვისკენ დაუყენებია, თითოსთვის თითო კონდახი კისერში წაუკრავს და წყალში ჩაუგდია. მეორე დღეს ნაჭახტრელებს გამორიყული გვამები იპოვნიათ ლამში. გუშინ წინ ბაქის ქალასთან ვერაგულად მოუკლავთ მილიციის უფროსის თანაშემწე კოპიაშვილი. თუ დროზე არ იქნა მთავრობისგან მიღებული ზომები, დუშეთის მაზრა ტფილისის სასაკლაოს ადგილს დაიჭერს.

მერი.

# ჩვენი ფოსტა

თელავი. დაგიწუნებულხ. მასალა გვიან მივიღეთ. გზავნეთ სისტემატიურად.

ხტუდენტს ვლ. ჯაფარიძეს. გვაცნობეთ თქვენი მისამართი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

**დაჰკარგე** სალდათობის რეგისტრაციის ქაღალდი, ლენინის შემოსავლის აქციზის ბილეთი, რაც ჩაითვალოს გაუქმებულად.
1266 ლევანა ბერიანიძე.

**დაჰკარგე** კოოპერატივ „მეურნე“-ს საწევრო წიგნაკი № 161, რაიც ჩაითვალოს გაუქმებულად.
1265 ივანე ილარიონის ძე ურუშაძე.

**დაჰკარგე** მოწმობა სამხედრო ბეგრის მოხდისაგან თავისუფლებით შესახებ სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან მოცემული. ვაცხადებ გაუქმებულად.
გერვასი ივლიანეს ძე გოგოლაძე.
1264